ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 2925358001**
თარიღი:**24/12/2025**

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ა" ქვეპუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 22 დეკემბრის №28-282535672 წერილის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის **საკრებულომ,**

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, **2 (ორი) წლის ვადით** გასხვისებაზე.

**მუხლი 2.** მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით სარგებლობის საფასური, 1 (ერთი) თვის საწყისი საიჯარო თანხა განისაზღვროს 300 (სამასი) ლარით.

**მუხლი 3.** განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7 ) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM